ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3956748

ნომერი: AR1599790

თარიღი : 10.05.2018

გაცემის თარიღი : 11.05.2018

გაცნობის თარიღი : 11.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ასათიანი , N10 , (ნაკვ.14/012);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 10 მაისის №AR1599790 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებით ქ. თბილისში, ასათიანის ქ. №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.15.014.014) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის პირველი სექტორში მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 20 აპრილიდან 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით. სამსახურის 2018 წლის 24 აპრილის №3927863 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებაში, კერძოდ, სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულზე მდებარე გეგმა ჩანაცვლდა 2018 წლის 23 აპრილის №AR1594689 განცხადებაზე წარმოდგენილი 0.00 ნიშნულზე მდებარე გეგმით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, 7.1 და -4.1 ნიშნულებზე -2 და -1 სართულების გეგმებზე შეცდომით არის მითითებული სათავსის დანიშნულება და ნაცვლად კომერციულია უნდა იყოს სარდაფი, ხოლო, ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციული ფართობის ნაცვლად უნდა ფიქსირდებოდეს სარდაფის ფართობი. წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით, -7.1 და -4.1 ნიშნულებზე -2 და -1 სართულების გეგმების ამავე განცხადებით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით ჩანაცვლება და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციული ფართობის ნაცვლად, სარდაფის ფართობის (1317.0 კვ.მ.) დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებელის მოთხოვნის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებელთა მოთხოვნა, შეიტანოს ცვლილება 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ასევე შეთანხმებული, -7.1 და -4.1 ნიშნულებზე, -2 და -1 სართულების გეგმები ჩაანაცვლოს 2018 წლის 10 მაისის №AR1599790 განცხადებით წარმოდგენილი, ამავე სართულების გასწორებული გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის საფუძველზე,
ვბრძანებ:
1.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციული ფართობის ნაცვლად დაფიქსირდეს სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 1317.0 და შეთანხმებული, -7.1 და -4.1 ნიშნულებზე, -2 და -1 სართულების გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 10 მაისის №AR1599790 განცხადებით წარმოდგენილი, ამავე სართულების გასწორებული გეგმებით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 20 აპრილის №3922820 ბრძანებასთან ერთად.